სსიპ შემოქმედებითი საქართველოს მიერ 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიებების განსახორციელებლად დაფინანსების შესახებ
ხელშეკრულება #დ/3

ქ. თბილისი **21 მაისი 2019 წელი**

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ სსიპ "შემოქმედებით საქართველო" (შემდგომში: ღონისძიების დამფინანსებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ანა რიაბოშენკოს სახით, და მეორეს მხრივ სსიპ საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი (შემდგომში: ღონისძიების განმახროციელებელი) (ს/კ 203851313; ფაქტობრივი მისამართი: ქ.თბილისი, აღმაშენებლის 68) წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის გიორგი დონაძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს კანონმდებლობით, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მაისის #1101 განკარგულების, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2019 წლის 14 მაისის #MES 3 19 00568609 წერილის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2019 წლის 17 მაისის წერილის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას

1. ხელშეკრულების საგანი

სსიპ საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დაფინანსება 2019 წლის 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით.

2. მხარეთა ვალდებულებები

2.1. ღონისძიების განმახორციელებელი ვალდებულია ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, დათქმულ ვადაში განახორციელოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
2.2. ღონისძიების განმახორციელებელი ვალდებულია უზრუნველყოს სახელშეკრულებო თანხის მიზნობრივი ხარჯვა დანართ N1-ში წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
2.3. ღონისძიების განმახორციელებელი უზრუნველყოფს განხორციელებელი პროექტის ხარისხს და პასუხს აგებს მის უხარისხობაზე, თუ იგი გამოწვეულია ღონისძიების განმახორციელებელის არასწორი ქმედებით. სსიპ შემოქმედებითი საქართველოს მიერ გამოვლენილი წუნის ან უხარისხობის შემთხვევაში ღონისძიების განმახორციელებელი ვალდებულია საკუთარი სახსრებით აღმოფხვრას იგი.
2.4. სსიპ შემოქმედებითი საქართველო ვალდებულია, აუნაზღაუროს ღონისძიების განმახორციელებელს ხელშეკრულებაში მითითებული ღირებულება.
2.5. სსიპ შემოქმედებითი საქართველო და ღონისძიების განმახორციელებელი იღებენ ვალდებულებას, დროულად და სრულად შეასრულონ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

2.6. ღონისძიების განმახორციელებელი ვალდებულია ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული თანხის აუთვისებელი ნაწილი დააბრუნოს სსიპ შემოქმედებითი საქართველოს ანგარიშზე (მიმღების ბანკი – სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი – TRESGE22, ანგარიშის ნომერი – 707597001);
2.7. ღონისძიების განმახორციელებლი ვალდებულია ხარჯების არამიზნობრივად გაწევის შემთხვევაში, არამიზნობრივად გახარჯული თანხა დააბრუნოს ღონისძიებლის დამფინანსებლის მიერ დადგენილ ვადაში.

3. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორება

3.1. სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 62 255.00 (სამოცდაორი ათას და ორასორმოცდათხუთმეტი) ლარს.
3.2. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით, ეროვნულ ვალუტაში, ავანსის სახით სახელშეკრულებო თანხის 100% ოდენობით;
3.3. ანაზღაურებას არ ექვემდებარება წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე გაწეული ნებისმიერი ხარჯი;

4. ხელშეკრულების პირობების შესრულება და მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების წესი

4.1. ხელშეკრულების პირობები შესრულებულად ითვლება მას შემდეგ, როდესაც:
ა) ღონისძიების განმახორციელებლი 2019 წლის 31 მაისამდე წარმოადგენს ხარჯის გაწევის (განხორციელებული პროექტის) დამადასტურებელ დოკუმენტაციას, ვიზუალურ და ნარატიულ ანგარიშს;
ბ) ხარჯის გაწევის (განხორციელებული პროექტის) დამადასტურებელი დოკუმენტაციის ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის შემთხვევაში, 15 კალენდარული დღის ვადაში ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტები.
4.2. ამ მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაციის არასრული სახით წარმოდგენის შემთხვევაში სსიპ შემოქმედებითი საქართველო ღონისძიების განმახორციელებელს განუსაზღვრავს დამატებით ვადას (არაუმეტეს 5 დღისა) ხარვეზის შევსების მიზნით.
4.3. დადგენილ ვადაში ღონისძიების განმახორციელებლის მიერ ხარვეზის აღმოუფხვრელობა განიხილება, როგორც ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება.

5. ხელშეკრულების პირობების შეცვლა და ხელშეკრულების მოშლა

5.1. ხარჯთაღრიცხვაში (დანართი #1) შესაძლებელია შევიდეს ცვლილება მხარეებს შორის გაფორმებული წინასწარი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
5.2. სსიპ შემოქმედებითი საქართველო უფლებამოსილია ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ღონისძიების განმახორციელებელს წერილობითი შეტყობინებით უარი უთხრას

ხელშეკრულებაზე, მაგრამ მან უნდა აუნაზღაუროს ღონისძიების განმახორციელებელს ხელშეკრულების მოშლამდე პროექტის ფარგლებში შესრულებული სამუშაოს ღირებულება.
5.4. მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების მოშლის ფაქტი ფორმდება მხარეების მიერ დოკუმენტურად შეთანხმების აქტის მეშვეობით.

6. ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხება

თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ერთმა მხარემ შეფერხების წარმოშობიდან დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 2 (ორი) კალენდარული დღის განმავლობაში უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა, უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა და პირგასამტეხლო

7.1. წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტით განსაზრვრული ვადის დარღვევის შემთხვევაში ღონისძიების განმახორციელებელი იხდის პირგასამტეხლოს სსიპ შემოქმედებითი საქართველოს სასარგებლოდ ყოველ გადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო თანხის 0,01%-ის ოდენობით;
7.2. თუ ღონისძიების განმახორციელებელი არღვევს ხელშეკრულების პირობებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, სსიპ შემოქმედებითი საქართველო უფლებამოსილია არ აუნაზღაუროს მას წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა.
7.4. თუ ღონისძიების განმახორციელებელი სსიპ შემოქმედებითი საქართველოს მიმართ ნაკისრი ვალდებულების განსახორციელებლად, პარალელურად მიიღებს დაფინანსებას მესამე პირისგან, ღონისძიების განმახორციელებელი ვალდებულია მესამე პირთან დაფინანსების მიღების შესახებ დადებული შეთანხმებიდან ორი საბანკო დღის განმავლობაში დაუბრუნოს სსიპ შემოქმედებით საქართველოს მის მიერ ღონისძიების განმახორციელებელისათვის გადახდილი თანხა, მესამე პირისგან მიღებული დაფინანსების ოდენობით. ამ ვადის დარღვევის შემთხვევაში ღონისძიების განმახორციელებელი იხდის პირგასამტეხლოს სსიპ შემოქმედებითი საქართველოს სასარგებლოდ ყოველ გადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო თანხის 0,01%-ის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს სახელშეკრულებო თანხის 6%-ისა.
7.5. იმ შემთხვევაში თუ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება არ შესრულდება, ღონისძიების განმახორციელებელი უზრუნველყოფს თანხის სრულ დაბრუნებას სსიპ შემოქმედებითი საქართველოს მიერ თანხის დაბრუნების მოთხოვნის მიღებიდან ორი საბანკო დღის განმავლობაში. ამ ვადის დარღვევის შემთხვევაში

ღონისძიების განმახორციელებელი იხდის პირგასამტეხლოს ღონისძიების დამფინანსებლის სასარგებლოდ ყოველ გადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო თანხის 0,01%-ის ოდენობით;

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 ივლისის ჩათვლით;

9. ფორსმაჟორი

9.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორსმაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მხარეების შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
9.3 ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 2 (ორი) კალენდარული დღისა, უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. სადავო საკითხები

წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებული მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა წყდება მხარეთა კონსულტაციების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. დასკვნითი ნაწილი

11.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

11.2 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად ქართულ ენაზე. სამივე ეგზემპლარის ტექსტი იდენტურია და გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

12. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

12.1 სსიპ შემოქმედებით საქართველოს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელონ კონტროლი ღონისძიების განმახორციელებელის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.
12.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება სსიპ შემოქმედებითი საქართველოს ადმინისტრაციული მენეჯერის მანანა სალაძის მიერ;

მუხლი 13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

სსიპ - შემოქმედებითი საქართველო

ფაქტობრივი მისამართი: საქართველო,
ქ. თბილისი, ვ. დოლიძის ქ. კორპ #28
ტელ.: 595474646
ს/კ :204583842

ანა რიაბოშენკო
დირექტორი

LEPL CREATIVE GEORGIA
Digitally signed by LEPL CREATIVE GEORGIA
Date: 2019.05.22 13:47:31 +04'00'

სსიპ საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი

მისამართი: ქ.თბილისი, აღმაშენებლის #68
ს/კ : 203851313
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა:TRESGE22
სახაზინო კოდი 708107004

გიორგი დონაძე
აღმასრულებელი დირექტორი

THE FOLKLORE STATE CENTRE OF GEORGIA
Digitally signed by THE FOLKLORE STATE CENTRE OF GEORGIA
Date: 2019.05.21 13:40:22 +04'00'